ოქმი N 16

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 10 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. მზია ლემონჯარია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. მაკა ჩარტია
7. ია ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლის დირექტორის მაია შუშანიას 2022 წლის 21 სექტემბრის N: 10/51222642-51 წერილის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლის დირექტორის მაია შუშანიას 2022 წლის 21 სექტემბრის N: 10/51222642-51 წერილის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ. შუშანიას მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამეურვეო საბჭოს ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სახელის შეცვლის შესახებ. „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 აგვისტოს N13 დადგენილების თანახმად, საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის შედეგად გაღმა საჯიჯაო ჩამოყალიბდა ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლის სახელი, რადგანაც ამ ეტაპზე გაღმა საჯიჯაო წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს, ხოლო საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს ერთი სკოლა შესაბამისად არ არის საჭიროება სკოლის დანომვრის. ზემო აღნიშნულის გამო სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკოლის სახელწოდების ცვლილება და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლა"

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ და მომზადდა განკარგულების პროექტები: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე".

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7 ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" განმარტებით ბარათთან ერთად ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მ. თათარიშვილი მედეა თათარიშვილი